№ 40

ოთხშაბათი, 21 თებერვალი 1896

1877—1896

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 40

ოთხშაბათი, 21 თებერვალი 1896

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

**ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გვამის გელათის მონასტერში გადასვენება და დაკრძალვა დიდის თოვლებისა და უგზოობის გამო 10 მარტისათვის იქმნა გადადებული.**

თბილისის სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 21 თებერვალს

ქართველ არტისტების ამხანაგობისაგან გამართული იქნება წარმოდგენა ეფ. მესხისა ბ-ნი ვ. აბაშიძის და კ. მესხის მონაწილეობით

## მადამ სან-ჟენ

კომედია 4 მოქმედ. მორო და სარდუსი, თარგ. კ. მესხის მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნი ეფ. მესხისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, ციცქივაძისა, არლანისა, ბ-ნი აბაშიძე კ. მესხი, გუნია, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე და სხვანი.

ადგილების ფასი დაკლებულია პარტერში ადგილები ღირს 50 კ.—3 მანეთამდე, ლოჟები 4 მ. გალერეია 25 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

გამგენი: კ. მესხი. ვ. აბაშიძე.

მზადდება ადრიანა ლეკუვრერ, ხანუმა, მარგარიტა გოტიე, რუსთაველი და სხვ.

## ახალი ამბავი

—

*** ს. ხეთა: 10 თებერვალს მღ. ბესარიონ შუშანიამ განსვენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გარდაიხადა, რომელსაც დაესწრნენ სამრევლო სკოლის მოწაფენი და ადგილობრივი ხალხი. წირვასა და პანაშვიდზე მოწაფეები ქართულად გალობდნენ.

*** სოფ. ნაესაკოვი, (სენაკის მაზრა): ადგილობრივის მღვდლის ჩიქოვანის მიერ მრავალის ხალხის თანადასწრებით რამდენჯერმე იქმნა აქ პანაშვიდი გარდახდილი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის, ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის სულის მოსახსენებლად.

*** როგორც ამბობენ, ტფილისის ვიცე-გუბერნატორად ინიშნება ერევნის ახლანდელი ვიცე-გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე.

*** ახალის ალექსანდრიის ინსტიტუტის პროფესსორი ვ. ფონ-ბრანკე ჟურ. „ხოზიაინ“-ში აღნიშნავს თავისს მოსაზრებათ იმის შესახებ, რომ კავკასიაში უმაღლესი სამეურნეო სკოლა იქმნას გახსნილი სატყეო განყოფილებით. ეს შენიშვნა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ამ ბოლოს დროს ხმა გავრცელდა რუსეთში რამდენიმე უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი უნდა იქმნას გახსნილი და მათ შორის ერთი კავკასიაშიო. პროფესსორი ფონ-ბრანკე ამ შემთხვევაში უპირატესობას კავკასიას აძლევს და ამბობს, რომ თუ გაიხსნება უმაღლესი სამეურნეო და სატყეო სასწავლებელი, პირველად კავკასიაში უნდა გაიხსნას, როგორც იმიტომ, რომ ეს მხარე ფრიად მდიდარია, ისე იმიტომაც, რომ ამ მხარეში დიდი სხვა-და-სხვაობაა ჰაერისა და ნიადაგისაო.

*** ზესტაფონიდამ იწერებიან: არის იმისთანა ადგილები, სადაც თოვლის სიდიდე აღემატება ორს საჟენს; არის იმისთანა სოფლები, სადაც მთელი ბინადრობა მოაოხრა მთა-გორიდამ ჩამოწოლილმა თოვლმა და მრავალი მცხოვრები აზარალა. თოვა დაიწყო პირველ იანვრიდამ და ჯერ კიდევ შეუწყვეტლად სთოვს.

*** სოფ. დილიკაურიდამ (შორ. მაზ.) გვწერენ, რომ აქ მცხოვრებლებმა თებერვლის 11 გარდაიხადეს პანაშვიდი ძვირფას'ის და დაუვიწყარის მწყემსთ-მთავრის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. ადგილობრივმა მღვ. სპ. ჭიპაშვილმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე, მოკლე სიტყვა.

*** როგორც შევიტყვეთ, გუშინდელს №-ში მოხსენებულის მკვლელობის განმზრახველი უცნობი მიხეილის საავადმყოფოში მიუყვანიათ ამ წინაზედ დაჭრილ პოლოს აკოფოვთან და ამ უკანასკნელს უთქვამს, რომ სწორედ ეს კაცი იყო მე რომ ბებუთით დამჭრაო.

*** სოფ. ერკეთი (გურია): წარსულის წლის ზარალსა ვწუხდით და ამას ზედ დაერთო [ეხლანდელი გაჭირვება. შარშანდელმა წელმა მოსავალი ჩვეულებრივის მეათედი ძლივს მოგვცა და ისიც წყალ-დიდობამ გაგვიქრო. რა უნდა ქნას საწყალმა ხალხმა, როდესაც ბევრგან წისქვილებიც-კი დაგვინგრია, ადგილები დაგვტაცა? ახლა მოდით და გაუძლვეს ხალხი ათას-გვარს ხარჯებს, ფოსტის ფული ვარო, მწერლის, მღვდლისა და სხვათა გარდასახადი და სხვანი... ამას ზედ დაერთო ახლა ამ წლის დიდი თოვლი და გაჭირვება გაგვიორკეცდა. იანვრის 10-დამ თებერვლის 14-მდე თითქმის ყოველ დღე თოვდა, არშინ-ნახევარზე დასდვა თოვლი. ერთი დღე მზიანი არ გვინახავს. ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა; სახლიდამ სახლში გასვლა გაუჭირდათ, საქონლის საკვები შემოაკლდათ და საქონელი შიმშილით დაეხოცათ. კონა ჩალა აბაზად იყიდებოდა, თუ სადმე იყო. ყოველ მხრიდამ გზა შეიკრა. ასეთი დიდი თოვლი ჩვენის მოხუცებულების სიტყვით, კაი ხანია არ ყოფილა.

## კორესპონდენცია.

—

**სამეგრელო.** დიდის ხნის დაუვიწყარი და მოსაგონებელი იქნება წარსული წელიწადი სამეგრელოს მკვიდრთათვის. ვინ მოიფიქრებდა ამ ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულს კუთხეში, როგორიც არის სამეგრელო, სადაც ყოველ-გვარი მოსავალი უხვად აჯილდოებს მშრომელს, ისე ღმერთი გაწყრებოდა, რომ წლის სარჩოც აღარ მოუვიდოდათ. ამ გარემოებას-კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ზოგიერთებს დღესაც სიმშილი აწუხებს. მოუსავლობით უფრო მთა ადგილები დაზარალდნენ, რომლებსაც, ძალიან დიდი ღვთის წყალობა იქნება, აღდგომამდე რომ მიჰყვეს წლის სარჩო. ბარად-კი შემოდგომის განუწყვეტელმა წვიმებმა გაანიორწყალეს მოსავალი. ხშირისა და დიდის წვიმების შემდეგ მოდიდდნენ მდინარეები და მახლობლად მდებარე ყანები შავი ზღვისკენ გააქანეს. ბევრი კალოებათ მოგროვილი სიმინდი აზღვავებულმა მდინარეებმა დაიტაცა. ამგვარის სურათის მხილველი მუშა კაცი, თვალ-ცრემლიანი და ხელ-დაბანილი წლის სარჩოზე, გულმოსაკლავს სიტყვებს იმეორებდა: «კაი ამის მომსწრესაო». არც ამას დააჯერა გაუმაძღარმა წყალდიდობამ. ზოგიერთებს რამდენიმე დღიური მიწა წაართვა და შეუერთა შავის ზღვის ტალღებსა. ერთის სიტყვით, დიდი და კალმით აუწერელი ზარალი მისცა წარსულის წლის წყალ-დიდობამ მთელს სამეგრელოს. ასე და ამ გვარად, დიდის კაი-კაცლახით

## ფელეტონი

**სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდამ *).**

(მოგონება).

შემდეგი *)

III

არ აგიწერთ სასადილო ოთახს, რადგანაც შესანიშნავი არა იყო რა, მხოლოდ ამ საღამოთი აქ დიდი მოძრაობა იყო კვლავინდებურზე. მოწაფეთათვის ვახშამი მოემზადებინათ და ვახშმის გამგენი ისე ამაყად მიდი-მოდიოდნენ თითქოს რაიმე მოწყალება მისცემოდეთო.

სასადილო ოთახის თავში განსაკუთრებული სუფრა იყო გაშლილი უფროსისა და მასწავლებლებისათვის, რადგანაც ყოველ დიდ-აღების ღამეს ჩვეულებად ჰქონდათ დადებული, რომ უფროსი მოწაფეებთან ერთად ივახშმებდა ხოლმე და ერთათვე ეგებებოდნენ „მარხვას სინანულისას“... ვახშამის წინ უფროსები სათითაოდ ჩამოუვლიდნენ ხოლმე მოწაფეებს გადაჰკოცნიდნენ და ეუბნებოდნენ: „ვაპატიოთ ერთმანეთს ჩვენი შეცოდებანიო“.

თავ-თავისს ადგილზე ჩამორიგებული მოწაფენი ამ საღამოთიც უფროსს უცდიდნენ და მოთმინებიდამ გამოსულნი, ტოკავდნენ, დანა-ჩანგალს აჩხაკუნებდნენ. იქვე ძერასავით დატრიალობდა მორიგი ზედამხედველი, ერთი რაღაც უცნაური, უმაღლეს სწავლა-დამთავრებული, მაგრამ საშინელი გაუთლელი, წინ-დაუხედავი და ამაყი ადამიანი. რისთვისაც მოწაფეებს ჭირივით სძულდათ, მაგრამ არც ეს აყრიდა ხეირს. დღეში 15—20 კაცს ჩასწერავდა ხოლმე თავისს უბის წიგნში და მერე უმაღლესს მთავრობასთან ასმენდა.

აგერ გამოჩნდა უფროსიც. მას უკან დიდის მოწიწებით მოსდევდა სასწავლებლის მოძღვარი (განსაკუთრებული თანამდებობაა), რამდენიმე მასწავლებელი და სხვა ზედამხედველი.

მოწაფეებმა სული განაბეს. უფროსმა აუარ-ჩაუარა. ზოგს შებღვერა, ზოგს მიუალერსა, ზოგს შენიშვნა მისცა და მერე ლოცვის წაკითხვა ბრძანა.

მოწაფენი ერთხმად ამღერდნენ. გაათავეს გალობა და ახლა უფროსმა დაიწყო სიტყვა.

სიტყვა ჩვეულებრივი იყო. ახალსაც არას ამბობდა. ერთი და იგივე აზრი, ერთი და იგივე წყობილება. მოწაფეებს ხშირად სმენიათ ხოლმე ამგვარი სიტყვები და თავ-დახრილები მარტო იმას ფიქრობდნენ, ნეტა როდის გაათავებსო და მხოლოდ მაშინ აიხედეს მაღლა, როდესაც უფროსმა ასე დააბოლოვა თავისი გრძელი სიტყვა:

— ამგვარად, აუმაღლა ხმა უფროსმა, ჩვენ ვეგებებით დიდ მარხვას და უნდა მივეგებნეთ კიდეც სულითა შემუსვრილითა და გულითა დამდაბლებულითა, როგორცა ბრძანებს მეფე და წინასწარ-მეტყველი დავითი.

— მაპატიეთ ძმებო, შეცოდებანი ჩემნი! მოწიწებით წარმოსთქვა უფროსმა, გულ-ხელი დაიკრიბა, თვალები მილულა და სამ მხრივ თავმდაბლად თავი დაუკრა. მოწაფეებმაც კინაღამ მაგიდას არ დაჰკრეს თავები.

— აბა, მამაო გერასიმ, ბძანეთ სადიდ-მარხვო ლოცვები. უბრძანა კიდევ უფროსმა. მამა გერასიმე მოწიწებით აინთო, ხელად გადაიცვა შავი ფილონი და მართლა რომ „შემუსვრილის“ ხმით დაიწყო რაღაც სადიდმარხვო ლოცვა. ოხვრა-პირჯვრის წერას სამზღვარი არა ჰქონდა. სტუმარ-მასპინძლებს სასოება გამოხატათ სახეზე და თითონ მღვდელი ხომ განხორციელებულ სარწმუნოებად გარდაიქცა.

გათავდა განმეორებითი ლოცვა. უფროსმა ერთხელ კიდევ ლმობიერებით დაიკრიბა გულ-ხელი, ისევ სამ მხრივ თავი დაუკრა და დაიწყო მოწაფეთა გადაკოცნა, სიტყვებით: „შევუნდოთ შეცოდებანი ჩვენნი.“

— შევუნდოთ... რიგ-რიგათ ეუბნებოდნენ მოწაფენი, ჯერ პირზე ჰკოცნიდნენ და მერე ხელზე. ზოგს ეხათრებოდა კიდეც უფროსისა. ზოგნი სასოებაშიც მოდიოდნენ, და მზათ იყვნენ მუხლი მოეყარათ უფროსისათვის. მხოლოდ უფროსი მოწაფენი, მოზრდილები და დაკვირვებულნი როგორღაც ვერ ეწყობოდნენ ამ „ცერემონიას“, რადგანაც გრძნობდნენ და დარწმუნებულიც იყვნენ, რომ ეს მარტო ფლიდობა იყო და სხვა არაფერი, ან კი სადაური „ცოდვების შენდობა“ იქნებოდა თუ ღმერთი გწამთ, როდესაც უფროს-უნცროსები ერთმანეთს თხა-და მგელსავით უყურებდნენ და არამც თუ „ცოდვებს“ უბრალო დანაშაულსაც-კი კამეჩის ოდენას გახდიდნენ ხოლმე ძალის მექონენი და საწყალ დამნაშავეს დაუნდობლად ღუპავდნენ. თქმა აღარ უნდა, რომ ასეთ თავისებურ მოპყრობას თავისებური მიზეზიც ექნებოდა და ეს მიზეზი-კი ის ერთხელვე წინ-წამძღვარებული აზრი იყო, რომ უფროსების წარმოდგენილობით „მოწაფენი მხეცები, მხეცის შვილები იყვნენ, მხეცებს-კი მორჯულება უნდათ და ამ მორჯულებასთან—გარდაქმნაც“, ეს არის ჩვენი უმთავრესი „მისსიაო“! (სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: ამიტომა ვართ მოვლინებულნიო) ხშირად იტყოდნენ ხოლმე ძალის-მექონენი და სამწუხაროდ ღირსეული მისსიის ღირსეული მისიონერები ყოველგვარ ანტი-პედაგოგიურ და ზნეობა-სამართლიანობის საწინააღმდეგო საშუალებათაც ხმარობდენ. შეიძლება პირველნი იმდენად ცუღლუტობდენ, რამდენადაც მეორენი სულით და გულით იტანჯებოდენ, მაგრამ.. ერთმანეთისა აღარა სწამდათ რა და მათი „მამაშვილური ურთი-ერთობა“ ცარიელი ფლიდობა და თვალთ-მაქცობა იყო. აი სწორედ ამგვარ ფლიდობად ჩასთვალა სადიდ-მარხვო ამბორის ყოფა მოწაფეთა უმრავლესობამ და სულით იტანჯებოდა ამ თვალთ-მაქცობისათვის.

— „ხვალ რომ უბრალოდ ფეხი გადამიბრუნდეს, ხომ აღარ გაახსენდება თავისი ამბორი, ზეგ რომა ვსთქვა მე ქართველი ვარ მეთქი, ხომ ენის ამოგლეჯას დამიპირებსო“. გაიფიქრა ფეფენაშვილმა სწორედ ამ დროს, როდესაც უფროსი გადაეხვია და სამჯერ გადაჰკოცნა. გააჟრჟოლა ფეფენაშვილი და ძალა-უნებურად პირი მოიწმინდა.

როდის—როდის დასრულდა „ამბორის ყოფა“, მოწაფეები დალაგ-

*) გუშინდელ ფელეტონის მეოთხე სვეტის მე-14 სტრიქონში ქვევიდამ ჩემის უყურადღებობის გამო დასტამბულია: „უდირს-უვიცთაგან“... უნდა იყოს, „უდირს-უფროსთაგან“.

თ. კ.

*) იხ. „ივერია“ № 39

მოგვშორდა წარსული მუნწი და გაუმტბელი წელიწადი. თვითოეული დიდის სიხარულით ეგებებოდა მდგომარე წელიწადს, იქნება ამ წარღვნის წელიწადს აგვაშოროს ახალმა წელიწადმაო, მაგრამ ამ წელიწადმა უარესი დაგვმართა. დადგა იანვარი თუ არა, დაიწყო ელვა-ქუხილით დიდი წვიმები. წვიმდა დღე და ღამე გადაუღებლივ თხუთმეტ იანვრამდე. ხოლო შემდეგ ცა სათოვლოდ მოემზადა. მას აქეთ განუწყვეტლივ თოვლი მოდის. მთიან ადგილებში, როგორც ამბობენ, საჟენ-ნახევარი თოვლი მდევს თურმე, ბარათ-კი არშინ ნახევარი. უზომო თოვლის გამო სოფლიდამ სოფლად მიმოსვლა ერთობ გაძნელებულია. ვაკე ადგილების მცხოვრებლები-კი, თქვენი მტერი ისე დაიღუპოს, როგორც ისინი დაიღუპნენ: სახლები მთიდამ ჩამოწოლილ ზვავებისაგან მრავალია დამტვრეული და შიგ მცხოვრებთა შესახებ ჟერ-ჟერობით არავინ იცის... ვინ მოსთვლის რამდენი ოჯახობაა ამგვარ ამინდებში ცის ქვეშ უსახლ-კაროდ დარჩენილი და თავისს ბედის მწარედ მოსტირალი... არა ერთი და ორმოცია ცოლ-შვილით თოვლს ქვეშ მომწყვდეული უშუშოდ, უსაფქავოდ. საყდრებიც ბევრია თოვლისაგან დაზიანებული. ყოველივე ესე უბედურება უფრო მთა-გორიან ადგილებში მოხდა. შინაური საქონელი მრავალი იხოცება უსაჭმელობით, რადგან ფუჩეჩის შოვნა ერთობ გაძნელებულია. საქონელს თქვენი ჭირი წაუღოს, ოღონდ ადამიანისთვის იშოვებოდეს საჭმელი. საფქავის წაღება წისქვილში შეუძლებელია, ამის გამო უკიდურეს მდგომარეობაშია ამ ჟამად სამეგრელო.

თებერვალიც ცუდი ამინდებით დაგვიდგა. ესეც ბევრს უკრავს იანვარსა. თუ თებერვალმა ასეთი ამინდები დაიჭირა ბოლომდის, როგორიც ახლა არის, სწორედ მთლად გავუბედურდებით. მოხუცებულები ამბობენ, ასეთი დიდი და გაგრძელებული ზამთარი სამეგრელოში არასოდეს არ გვინახავსო.

ამ ჟამად აქეთ ბევრი ავადმყოფობაა გავრცელებული, უფრო-კი მწვავი და „ინფლუენცა."

ტრიფონ კალ—ლი.

10 თებერვალი,
1896 წელი.
ახალ-სენაკი.

## ქალაქის საბჭო.

19 თებერვლის კრება.

გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ ამ ბოლო დროს ძლიერ ცოტას მოერეკებიან ქალაქში საკლავ საქონელსაო, საქონლის საკვებავიც მეტად გაძვირდაო. ამ მიზეზების გამო გამგეობამ ითხოვა ხორცის ფასი ერთის კაპეიკით მეტი დაინიშნოს გირვანქაზედაო. ცოტა კამათის შემდეგ, საბჭომ გარდასწყვიტა შვიდი კაპეიკის მაგიერ რვა კაპეიკი დაინიშნოს გირვანქა ხორცზედ.

ამის შემდეგ კრება შეუდგა ხმოსანის ივ. მ—ძის თამამშევის თავმჯდომარეობით იმ სარევიზიო კომისიის მოხსენების გარჩევას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საბჭოსაგან გამგეობის ანგარიშის განხილვა 1893 წლისა. ეს მოხსენება, როგორც მკითხველებმა იციან, საბჭომ წინა კრებებზედ მოისმინა, ორ-შაბათს-კი საზოგადო აზრი დაასკვნა ამ მოხსენების შესახებ.

ხმ. შაჰ-აზიზოვი იმას თხოულობდა, რომ სხვა წლების ანგარიშის შესახებაც მოვისმინოთ სარევიზიო კომისიის მოხსენებაო, რადგან სხვა წლების ანგარიშებშიაც ბევრს შევხვდებით არევ-დარევას.

ხმ. ვართანოვი. სარევიზიო კომისიის ანგარიშები საზოგადოდ ძლიერ გვიან შემოაქვს გამგეობას ჩვენ განსახილველად. 1893 წლის ანგარიშს დღეს, 1896 წელში ვარჩევთ. ამ გვარად საბჭოს ძლიერ გაუჭირდება ანგარიშის გარჩევა. ამისთვის მე ვითხოვ დღესვე დაადგინოს საბჭომ, რომ სარევიზიო კომისიები წლის თავში იყოს ამორჩეული. როგორც სარევიზიო კომისიის ანგარიშიდამა სჩანს, გამგეობას სრულებით არა აქვს ისეთი დავთარი, სადაც ანუსხული უნდა იყოს ქალაქის ქონებათა სია. საბჭომ უნდა დაავალოს გამგეობა,—ამისთანა დავთარი იქონიოს. ამას გარდა საჭიროა გამგეობამ იმის სიაც წარმოუდგინოს: რამდენი გარდაწყვეტილება საბჭოსი აასრულა და რამდენი დარჩა აუსრულებელი.

ხმ. ალიხანოვი იმას ამტკიცებდა, რომ საანგარიშო საქმეები ქალაქის გამგეობაში, როგორც სჩანს სარევიზიო კომისიის მოხსენებიდამ, ძლიერ კოჭლობს და დღემდე მეტად არეულ-დარეულად მიდის. წავიკითხოთ მეორე კომისიის მოხსენებაც 1885—1889 წლების მოქმედებისა. ამ მოხსენებაში იმდენი საყურადღებო ადგილებია, რომ საბჭომ გვერდი არ უნდა აუხვიოს ამას და ზოგიერთი აზრი სარევიზიო კომისიისა დღესვე მიიღოს საბჭომ სავალდებულოდ, რომ მომავალში ესეთ უთავბოლობას ადგილი აღარ ჰქონდეს ქალაქის საქმეების მართვაში.

მდივანმა წაიკითხა მოხსენება იმ სარევიზიო კომისიისა, რომელიც საბჭომ აირჩია 28 იანვარს 1891 წელს ქალაქის გამგეობის ანგარიშების განსახილველად 1885 წლ. 1889 წლამდე მოქმედებისა. მაშინ ამორჩეულ იყვნენ ამ კომისიაში ხმოსნები: პ. ს—ძე ვასილიევი, თავ. ვ. გ—ძე მაჩაბელი, თავ. დ. ა—ძე ფავლენიშვილი, ნ. ი—ძე არჯევანიძე და ნ. ა—ძე შაჰ-აზიზოვი—კამსარაკანი.

აი, ამ კომისიის მოხსენება მხოლოდ გუშინ-წინდელ კრებაზედ მოისმინა საბჭომ და დიდი კამათიც ჩამოვარდა ამ მოხსენების შესახებ.

გამგეობა იმას თხოულობდა, რომ დრო მოგვეცით კომისიის მოხსენების გამო ჩვენი აზრი მოვახსენოთ საბჭოსაო. ხმოსნები ბბ-ნნი შაჰ-აზიზოვი და ვართანოვი იმას ამტკიცებდნენ, რომ ამდენის წლის განმავლობაში გამგეობას შეეძლო დაემზადებინა თავისი სათქმელი სარევიზიო კომისიის ანგარიშზე, რადგან გამგეობამ კარგად იცოდა ეს ანგარიშიო. ამისათვის არ არის საჭირო საქმის გადადება, რადგან ახალს არას შევიტყობთ გამგეობისაგანაო.

ხმ. გრ. ევანგულოვი. მართალია გამგეობას დრო ჰქონდა სარევიზიო კომისიის ანგარიშზედ პასუხი დაემზადებინა, მაგრამ რადგან ასეთი პასუხი არა გვაქვს, მაინც უნდა ვეცადოთ—გავიგოთ გამგეობის აზრიც. ჩვენ უთუოდ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ ქალაქის საშინაო საქმეები კარგად ვიდოდნენ, ამისათვის საჭიროა, რაც შენიშნული კოჭლობაა ამ საქმეებში, მოვსპოთ და მცხოვრებლები დავარწმუნოთ, რომ მათ ქონებას კარგად უვლიან. ეს ჩვენი მოვალეობაა და ამისათვის საბჭო მოვალეა მოსთხოვოს გამგეობას ყოველივე ცნობა შესახებ იმ შენიშვნებისა, რომელსაც სარევიზიო კომისია აღნიშნავს თავის მოხსენებაში.

ხმ. ალიხანოვი. მას შემდეგ რაც ეხლა მოვისმინეთ სარევიზიო კომისიის მოხსენება, შეუძლებელია გამგეობის ანგარიში საბჭომ დაამტკიცოს, რადგან ცხადად სჩანს აქედამ, რომ შინაური მოქმედება გამგეობისა მეტად არეულ-დარეული ყოფილა იმ წლებში, რომელსაც კომისია არჩევს. ამისათვის საჭიროა მოვსთხოვოთ გამგეობას ცნობები იმ რიგად, როგორც ამას ითხოვს ბ-ნი ევანგულოვი.

დიდის ხნის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: 1) გამგეობის ანგარიშის დამტკიცება არ შეიძლება უიმისოდ, რომ გამგეობამ თავისი ცნობები არ წარმოადგინოს სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ და ამ ცნობების წარმოსადგენად ვადა მიეცეს გამგეობას ამ წლის პირველ ენკენისთვემდე; 2) ცნობები უნდა წარმოადგინოს გამგეობამ ყოველ თავის განყოფილების შესახებ ცალკ-ცალკე; 3) ეხლავე დაევალოს გამგეობას, რომ დავთარი იქონიოს, სადაც უნდა ჩაიწეროს ქალაქის ყოველივე ქონებათა სია უკლებლივ. ამის შემდეგ კრება დაიშალა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

„სასულიერო მოამბის" მე-4 №-მა სწორედ რომ გაგვაოცა. პირველად ყოვლისა რად იწუხებს თავს და ხარჯსა სწევს პატივცემული რედაქცია, რომ ორს ნომერსა სცემს, რომელიც ერთი ვითომ ქართულია. დიაღ, აწერია ერთს ნომერს „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბე" და მხოლოდ სხვა-და-სხვა ოფიციალური განკარგულებაა ქართულად, სხვა-კი ყოველივე რუსულად. წარმოიდგინეთ, ამბროსი ნეკრესელის ქადაგებაც კი რუსულად გადაუთარგმნიათ და ქართულს განყოფილებაში დაუბეჭდიათ. მაშინ რუსულს განყოფილებაში ხომ ქართულად უნდა დაებეჭდათ. მეორე, რა უჭირდა რედაქციას ეს ერთი ნომერი გამოეცა ქართულად და ჩვენის დაუვიწყარის მწყემსთ-მთავრის მოკლე ბიოგრაფია მაინც ეუწყებია ქართულის მკითხველებისათვის. ნატროშვილის ვრცელი წერილია დასტამბული ორივე განყოფილებაში რუსულად. არა მგონია, რომ ამით რედაქციის მიზანს დიდი ზიანი მიეცემოდა, რომ ეს ერთი ნომერი გამოეცა ქართულად მაინც. არ გვესმის რა საჭიროა ეს ორი განყოფილება?

## უცხოეთი

საფრანგეთის სამინისტრომ ხელ-მეორედ გაიმარჯვა სენატზედ.

8 თებერვალს პარლამენტის სხდო

---

დნენ და გამხიარულებულმა უფროსმა-კი სასადილო ოთახში მიმოსვლა დაიწყო. მღვდელიც უკან გაედევნა და ისეთის უქვეშევრდომილესის თვალით შესცქეროდა, ისეთი მოწიწებითა თა მორიდებით ექცეოდა, რომ მოწაფეებს ღიმილი მოსდიოდათ მის ქცევაზედ. რადგანაც სასიარულო ადგილი ვიწრო იყო მღვდელი ხან მარჯვნივ ჩამოდგებოდა ხოლმე ხან მარცხნივ.... უძნელდებოდათ ორთა სიარული, მაგრამ მამა გერასიმე მაინც ბედნიერი იყო. უფროსის ანაფორას ხომ ეხახუნებოდა და ესეც დიდი ღვთის წყალობაა, კამილავკის მომლოდინე ქართველის მღვლისათვის.

—

— აწი-კი აღარა გვიშავს-რა! ხუმრობით ჩაილაპარაკეს მოწაფეებმა, როდესაც უფროსები წავიდნენ და მარტოკანი დარჩნენ.

— ჰო, წეღან მოსამსახურემ მითხრა, რომ „კანდუიტი" უფროსის ბძანებით ღუმელს შეუკეთეო, იოხუნჯა მეორემ.

მოწაფენი კარგად მიხვდნენ, რომ მათ ამხანაგს, ამითი მისი თქმა-კი არ უნდა, რომ მათთვის საჭირო არ იყოს წეს-რიგი, არამედ იმისი, რომ ის გამწვავებული დამოკიდებულება, რომელიც რაღაც მანქანებით უფროს-უნცროსთა შორის გამეფებულიყო, ისევ იქნება და ამ გვარი მოქცევა დიდ-ჰრილობას ვერ გაამთელებსო. მიხვდნენ და ჯერ მწარედ. გაიცინეს და მერე უფრო მწარედ ამოიოხრეს.

— ვნახოთ, ვნახოთ რა ბოლო ექნება ამ „მამაშვილურ მოპყრობასაო" მოლაპარაკობდნენ ჯგუფ-ჯგუფათ კიბეზე მომავალი მოწაფენი და მათ ოხუნჯობას საზღვარი არა ჰქონდა.

IV

მოწაფეთა ახირებული წინაგრძნობა რაღაც ცუდის მოვლენის შესახებ გამართლდა. არ გასულა რამდენიმე დღე „ცოდვების მიტევების" შემდეგ და დაიწყო საშინელი დევნა-რბევა შეგირდობისა, სასწავლებლის უფროსი თავისის სამის თანაშემწით დაერია მოწაფეთა ბინა-სადგურებს და სადაც უბრალოდ დაჯღაბნული წერილი ნახა ყველა სასწავლებლის სამმართველოში წარადგინა და პატრონებს დიდი შენიშვნა მიეცათ. რა იყო მიზეზი ასეთის სასტიკის დევნისა, მოწაფეებს ვერ გაეგოთ და თავ-ზარ-დაცემულები, მარტო იმას სცდილობდნენ არ გაბმულიყვნენ, ზოგმა დედისგან მოწერილი წერილებიც კი დახია, ქართულად არის დაწერილი და ვაი თუ რამე ეგონოთო. რბევა-დაფორიაქებას საზღვარი არა ჰქონდა. სასწავლებელში ერთი აურ-ზაური და მითქმა-მოთქმა შეიქნა.

— როგორ? ღამის ორ საათზე მღებრაძეს სახლი გაუჩხრიკესო? ეკითხებოდა ერთი მეორეს.

— მაშ კაცო, იყო პასუხი. თურმე „გარადავოებით" მისულან და მთელი სახლი გადმოუბრუნებიათ.

— ბევრ მაგისთანას გაიგებთ! მაგრამ ის-კი აღარ უნდა ვიჯავროთ, რომ ჩვენი ფეფენაშვილის ყუთი გაუტეხნიათ და ისეთი ხელთ-ნაწერები წაულიათ, რომ უთუოდ გამორიცხავენ იმ საცოდავსა? ჩაერია ლაპარაკში ერთი ახლად მოსული.

— ერიჰა! გაკვირვებით წამოიძახეს ორივემ.

— ეჰ, რაც იყოს, იყოს! გულსაკლავად სთქვა ფეფენაშვილის მოამბემ.

სამ მოლაპარაკეს სხვა სამი კაცი მიემატა, ამათ კიდევ—სხვანი და მალე მთელი ჯგუფი მოწაფეთა სხვა-და-სხვა ამბებს ლაპარაკობდენ,

ამასობაში, მეორე აივანზე მასწავლებლები ნელ-ნელა გროვდებოდნენ. ესენი მოსულიყვნენ უფროსის მოწვევის გამო, რომელსაც ზოგიერთ მოწაფეთა და ფეფენაშვილის თაობაზე საგანგებო კრება დაენიშნა. კრებას უნდა გაესინჯა ის წიგნები, რომლებიც მოწაფეთ წაართვეს და თუ მათი პატრონები ღირსი იყვნენ დასჯისა სასწავლებლიდან დაეთხოვნათ. ფეფენაშვილის შესახებ თითქმის საქმე გათავებული იყო, უფროს გადაწყვეტილი ჰქონდა მისი დათხოვნა, როგორც ,,არა კეთილსაიმედოსი''

—

განრისხებით მოლაპარაკე უფროსმა თვალი მოჰკრა მოწაფეთა გუნდს, ძრიელ გაჯავრდა და მათ დასაფანტავათ ზედამხედველი გამოგზავნა.

აივანზე მდგომარე მოწაფენი დაიტიშნენ და ფაცხა-ფუცხით კლასში შეცვივდნენ. მათ უკან შეჰყვა სირბილით გაწითლებული ზედამხედველი და შესვლის უმალვე დასძახა:

— უფროსი ჯავრობს აივნებზე ნუ დგებითო, რამდენჯერმე გაიმეორა ზედი-ზედ და უბისკენ ხელი წაიღო წიგნის ამოსაღებათ.

— სახეში ვიქონიებთ! უთხრა ერთმა მოწაფემ.

— დიახ, სახეში იქონიებთ, მ-გრამ თქვენ უფრო ხშირად არღვევთ ხოლმე ნაბძანებს, შენიშნა ზ.დამხედველმა.

მოწაფე რაღას ეტყოდა.

— პეტრ პეტროვიჩ! გაუბედავად მიჰმართა ერთმა.

— რა იყო.

— მართლა საგანგებო კრებაა ამაღამ დანიშნული?

— მაშ რა გგონიათ, რიხიანად სთქვა პეტროვიჩმა, არა, რამდენჯერ გვითქვამს თქვენთვის აღკრძალულ წიგნებს ნუ კითხულობთო. განა ჩვენ სამკითხველოში ცოტა წიგნებია? აი, პროლოგები, პატერიკები ჩეტი—მინეია მაკარისა, რუსეთის მონასტრების აღწერა, ნუ თუ ურიგო საკითხავია? თუ არა და ჯერ რუსული ლაპარაკი არ გისწავლიათ მაშინვე დაშლილ წიგნებს კითხულობთ. ახია თქვენზე რაც მოგივათ. ნიშნის მოგებით დააბოლოვა პეტროვიჩმა.

— რას ეძახით თქვენ დაშლილ წიგნებს და ან-კი გამიგონია კაცის გონებრივად განვითარების აღკრძალვა? ველარ მოითმინა ერთმა და მთლად წამოჯარხლებულმა შენიშნა. ხოლო რაც შეეხება თქვენგან დასახელებულ წიგნებს ჩვენ ამათ უ....

— აბა, როგორ თავისუფლად ლაპარაკობ, გააწყვეტინა სიტყვა ზედამხედველმა, მოდი და შენისთანა კაცს კანდუიტს ნუ აჩვენებ... იცოდე თუ მეორედ გავიგონე შენგან ეგრეთი მსჯელობა უთუოდ „პრავლენიეში" წაგადგენ.

შეგირდი უფრო გაწითლდა და სათქმელი სიტყვა ენაზედ დააკვდა.

— რა ნახეთ რა, მაგ წიგნებში, ის არა სჯობია გაკვეთილები ისწავლოთ? არიგებდა უფროსი. აი, მე ისე დავამთავრე სწავლა, რომ ერთხელაც არ მიმიღია შენიშვნა ჩვენის მთავრობისაგან. წიგნების კითხვას დიდის სიფრთხილით და სისტემატიურად მივსდევდი. ასე გასინჯეთ, ვიდრე აკადემიაში არ გადავედი,

მას დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის პარლამენტალურ წეს-წყობილების ისტორიაში. გაიხსნა თუ არა სხდომა, დეპუტატი შოდე (ოპპორტიუნისტი) ავიდა კათედრაზედ და სამინისტროს იმავე სიტყვებით მიჰმართა, როგორითაც წინად სენატში მონისმა. მეო, სთქვა მან, არ ვეხები სამინისტროს პოლიტიკის საზოგადო მიმართულებას, მე მხოლოდ ისა მსურს, რომ პარლამენტმა საყვედური გამოუცხადოს სამინისტროს, რადგან იგი სამართლის საქმეებში ჩაერია. ოპპორტიუნისტები ალტაცებაში მოვიდნენ. იმათ დიდათ იამა, რომ შოდემ ასე ხერხიანად მოატრიალა საქმე. ეხლა პარლამენტს ნება ეძლეოდა, მათის ფიქრით, სამინისტრო გაეკიცხა. მაგრამ პარლამენტის იმ ნაწილმაც, რომელიც სამინისტროს მომხრეა, და მთავრობამაც დროზედ გაუგეს ხერხი ოპპორტიუნისტებს. რიკარმა (სასჯულო საქმეთა მინისტრმა) გრძელი სიტყვა წარმოსთქვა შოდეს საპასუხოდ. გაიმეორა რამპლერის ისტორია. ხელ-ახლად ამტკიცებდა, რომ რამპლერის ბარათი არ მომსვლიაო სენატის სხდომის დაწყებამდის, მაშ სრულიადაც არ გადავსცდენივარ სიმართლეს, როდესაც სენატში განვაცხადე, რომ რამპლერის წერილი არ მიმიღია-მეთქი. ეხლა არ შემიძლია იმ წერილის გამოცხადება, მაგრამ თავისს დროზედ გამოვაცხადებ, „სამხრეთის რკინის გზების“ საქმეების დოკუმენტებთან ერთად და მაშინ დამერწმუნებით, რომ სამართლის ინტერესები თხოულობს, რომ ასე მოვიქციო. მეო, დაამთავრა სიტყვა რიკარმა, ჩემს დღეში პოლიტიკა არც გამირევია და არც გავურევ სასამართლოს საქმეებშიო. ჩემი მიზანია მხოლოდ სიმართლე ალვადგინოო. ამ სიტყვას ალტაცებული ტაშის-ცემით მიეგებნენ.

ცენტრმა (ოპპორტიუნისტებმა) თავი წამოჰყო, როცა ბარტუმ დაიწყო ლაპარაკი. იგი ითვლება პარლამენტის საუკეთესო ორატორთა რიცხვში. ცენტრი ტაშის ცემას ასტეხდა ხოლმე, როცა ბარტუ სამინისტროს ცხარე სიტყვებით მიჰმართავდა. იმან ასეთი სიტყვაც-კი წარმოსთქვა, რომ იუსტიციის მინისტრმა თავისი სამინისტრო ჯაშუშთა გაწყობილებად გარდაჰქმნაო. ამაზედ საშინელი აყალ-მაყალი ასტყდება. უკიდურეს მემარცხენეთა დასი ორატორს მოაგონებს წესიერებას ნუ არღვევო. ბრისსონი (თავმჯდომარე პარლამენტისა) გააჩერებს ბარტუს, ცენტრი გაცხარებულს ტაშის ცემას მოჰყვება. ბარტუ ჩამოდის კათედრიდამ, ცენტრი ალტაცებულად მიეგებება მას. მერმე დაიწყო ლაპარაკი რიბომ: სამინისტრომ ძალიან მძიმე საქმეში შეტოპაო, ვურჩევ დროზედ შედგეს, თუ არა და მათს მოქმედებას ცუდი შედეგი მოჰყვება რესპუბლიკისთვისაო.

ეხლა-კი სამინისტროს თავმჯდომარე ბურჟუა დაიწყებს ლაპარაკს. მადლობა გარდაუხადა რიბოს, საქმე ისე დააყენე, რომ პარლამენტი უთუოდ ჩვენს საზოგადო პოლიტიკას უნდა შეეხოსო. სამინისტრო სრულიად კმაყოფილია რიკარის მოქმედებითაო. მე ვასრულებ ჩემს მოვალეობას და მანამდის არ დავანებებ სამსახურს თავს, სანამ პარლამენტი ნდობას მიცხადებსო. (ტაშის ცემაა მემარცხენეთა) ხოლო როგორც-კი პარლამენტი უკმაყოფილებას გამოაცხადებს ჩვენის მოქმედების შესახებ, მაშინვე თავს დავანებებ სამსახურსაო. (ალტაცებული ტაშის-ცემაა მემარცხენეთა).

სერრიენი ამბობს, გამოვუცხადოთ ნდობა სამინისტროსაო, ხოლო შოდე თხოულობს პარლამენტმა მოსთხოვოს სამინისტროს ნუ ჩაერევი სასამართლოს საქმეებშიო. პუანკარე აპირობს შოდის აზრის დაცვას, მაგრამ მემარცხენეთა დასი არ აძლევს ლაპარაკის ნებას. ბოლოს მაინც პუანკარეს დააცდიან ლაპარაკს. ის ამბობს, თუ სამინისტრომ პირველად შოდეს აზრის გარჩევა არ მოინდომა, ეს ამტკიცებს, რომ ეშინიაო. ასტყდება საშინელი აურ-ზაური. პარლამენტი 283 ხმის უმეტესობით 238 წინააღმდეგ სერრიენის აზრს განიხილავს პირველად და დაეთანხმება მას 309 ხმის უმეტესობით 185 წინააღმდეგ. ხოლო შოდეს აზრი უარ-ჰყვეს 279 ხმის უმეტესობით 234 წინააღმდეგ.

მეორე დღეს პარლამენტის ზემოხსენებულ სხდომისა, სენატმა განაცხადა, რომ აღარ გვინდა განვაგრძოთ ბრძოლა პარლამენტთან და სამინისტროსთანაო. დემოლმა სთქვა შემდეგი: ბატონებო, სამინისტროს თავმჯდომარის პარლამენტში წარმოთქმულის სიტყვების შემდეგ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია დავეკითხოთ სამინისტროს სენატის წინაშე პასუხის გების შესახებ. ამგვარ დაკითხვას აზრი აღარ ექმნება, რადგან სამინისტროს მოქმედებამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომელიც წინააღმდეგია კონსტიტუციისა. სამინისტრომ უნდა ჰმართოს და განაგოს ქვეყნის საქმეები უსენატოდ. ჩვენს გარდაწყვეტილებაზედ აპპელიაცია გარდააქვს პარლამენტში და ამბობს, რომ პასუხის მგებელი არა ვარ სენატის წინაშეო. ჩვენ წინააღმდეგობას ვუცხადებთ კონსტიტუციის დამარღვეველს მოქმედებას სამინისტროსასაო. ჩვენ უნდა დავიფაროთ ხელ-უხლებლად რესპუბლიკის კონსტიტუცია. ხელ-ახლად ვუცხადებთ, რომ სამინისტრო პასუხის-მგებელია, როგორც პარლამენტის, ისე სენატის წინაშეო. მაგრამ სენატს არა ჰსურს შეაჩეროს პოლიტიკური ცხოვრება ქვეყნისა და ამიტომ მიუხედავად სამინისტროს მოქმედებისა, თავისს მოვალეობას ალასრულებს. სენატი გამოსთქვამს თავისს აზრს სამინისტროს წინადადებების შესახებ სრულიად მიუდგომელად და დამოუკიდებლად; მოსთხოვს მთავრობას ანგარიშს მათის მოქმედების გამო. ქვეყანა გამოსთქვამს თავისს აზრს იმ სამინისტროს შესახებ, რომელსაც უნდოდა მძიმე საპოლიტიკო კრიზისი გამოეწვია და იმ კრებულის შესახებ (სენატის), რომელსაც ჰსურს ეს კრიზისი თავიდამ მოაშოროს ქვეყანასაო“.

სენატი 184 ხმის უმეტესობით 60 წინააღმდეგ ამ აზრს ეთანხმება, თუმცა სხვები ურჩევდენ ამ კითხვას თავი დავანებოთ და პირდაპირ შეუდგეთ მორიგ საქმეების გარჩევასაო.

**კორეს საქმეები.** უკანასკნელად კორეში მომხდარ ამბების შესახებ შანჰაის გაზეთები აი რას იუწყებიან: კორეს მინისტრთა დახოცვა და აგრეთვე ის გარემოება, რომ მეფემ ლი-გუამ (მეფის ნამდვილი სახელი ლი-ხენია) რუსეთის მისსიის სახლს შეაფარა თავი, ახალის შეთქმულობის აღმოჩენამ გამოიწვია. შეთქულობის მიზეზად მეფის მამას ტაი-ვანკუნს ასახელებენ, რომელიც ერთხელ წინადაც, ე. ი. დედოფლის მოკვლის შემდეგ, ცდილა ტახტზე ასულიყო. ლი-ხენს, რომლის სიცოცხლეც საშიშს მდგომარეობაში იყო, რუსეთის ახალის ელჩის ბ-ნის შპეიერისა და მისის მოადგილის ვებერისათვის მიუმართავს მფარველობა ალმოეჩინათ მისთვის, ახალმა დედოფალმა მთელი წარსული თვე ვებერის ოჯახში გაატარაო. როგორც ფიქრობენ, რუსეთი მხოლოდ ხელის შემწყობს დროს ელის, რომ თვისი პროტექტორატობა განაცხადოს კორეზე და თავისს მომხრეთა დახმარებით დაიჭიროს სახელმწიფოს უმთავრესი ადგილები. ცუნგ-იამენის, ანუ ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს წევრნი დიდად გახარებულნი არიან, რომ საქმე ასე დატრიალდა და იმედი აქვთ ინგლისი დაბოლოს იძულებული იქნება რუსეთის მიერ წარდგენილ პროექტებზე თანხმობა განაცხადოს. სერიოზულს წინააღმდეგობას მხოლოდ იაპონიის მხრივ ელიან. ამასთანავე პირდაპირი მოქმედება მხოლოდ მაშინ დაიწყება, როდესაც ვლადივოსტოკის ნავთ-სადგური გაიხსნება, რომელიც ამ ჟამად ყინულით არის ამოჭედილი. იმ დროსთვის-კი რუსეთის პროტექტორატობაც გამოცხადდება და კორეს მეფე-დედოფლის ბედიც გარდაწყდებაო.

ინგლისის ჟურნალ-გაზეთების ერთი ნაწილი რუსეთის წინააღმდეგია. „პალ მალ გაზეთი“ ამბობს, რომ ინგლისსა და იაპონიას აუცილებლად ექნებათ ომი რუსეთთანაო, ხოლო „ვესტმინსტერ გაზეთი“ ეკითხება, იქნება დედოფლის მთავრობა ამ ჟამად დაკმაყოფილდებაო პოლიტიკით Laissez faire, lessez passer.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ხშირად ცხენი ისე გახდება და ღონისაგან დაილევა ხოლმე, რომ მარტო ძვლები-ღა ჰრჩება და ფეხის გადადგმის არაქათი არა აქვს. ძნელად-ღა იყო აქამდის ამისთანა მჭლე და ღონე-მოკლებულ ცხენის გამობრუნება. გერმანელი ბუნების-მეტყველი მეცნიერი მარტენი ამბობს, რომ ამისთანა ცხენის წამალი ყავააო, მე თვითონ მიცდია და ეს წამალი უებარი გამოდგაო. მარტენს მოჰყავს მაგალითად ერთი საცოდავი ცხენი, მარტო ტყავი და ძვლები-ღა ყოფილა და ფეხის გადადგმის ილაჯიც თითქმის არა ჰქონია. პატრონს ჩალის ფასად გაუყიდნია. ახალი პატრონი, ხელობით მკურნალი, მაშინვე შესდგომია ყავით წამლობასა. წამლად უძლევია ხან მარტო ყავა კარგა ბლომად-კი, ხან ყავა თაფლით. ცხენი ძალიან მალე გამობრუნებულა, ღონე დაჰბრუნებიას გასუქებულა და სამის კვირის შემდეგ ის, გამოკეთებულა, რომ ახალს პატრონს 1250 ფრანკად *) გაუყიდნია. მერე ბევრი სხვა ცხენიც ურჩენიათ ყავითაო. (ნ.)

*) ფრანკი ხუთი შაურია და ჩვენს ფულის კვალობაზე ჰღირს 35—37 კაპეიკი.

---

გოგოლის წაკითხვა ვერ გავბედე.

— მართლა თუ ყველა აკადემიელი ისეთი განვითარებული და დაკვირვებულია, როგორც ჩვენი მასწავლებლები, ოღონდაც რომ ძალიან სისტემატიურად უკითხავთ წიგნები, მაგრამ მგონი აქეთ არჩევითა გზავნიან ხოლმეო! დაცინვის, მაგრამ სერიოზულის კილოთი ჩამოართვა სიტყვა ერთმა ბეჯითმა მოწაფემ.

არ ვიცი მიხვდა თუ არა ზედამხედველი ამ კილოს, მხოლოდ ეს კია, რომ შუაზედ გასწყვიტა ლაპარაკი, უბრძანა ჰკვიანათ იყავითო და გარეთ გამოვიდა.

— სწორედ, ძალად გვაგიჟებენ ეს ოხრებიო! მიაძახეს ქართულად ბრაზზე მოსულმა ახალ-გაზდებმა.

—

ამავ საღამოთი თვალ-ცრემლიანი ფეფენაშვილი ჩამდგარიყო ამხანაგებში და გაქვავებული შესცქეროდა მათ. ამხანაგებიც უსიტყვოდ თანაუგრძნობდნენ ერთ თავისს უკეთესის უშვიდესის და უწყინარის ამხანაგის უბედურებას.

— ეხ! რა უდროოდ დამაშორეს თქვენ თავს, ბიჭებო! გულსაკლავად მიჰმართა ფეფენაშვილმა ამხანაგებს და გაუბედავად გადავლო თვალი, თითქოს დღეის შემდეგ მართლა მათი ამხანაგობის ნება აღარ აქვსო.

— მაშა, მაშა! ნაღვლიანად ეუბნეოდნენ ამხანაგებიც და მეტი გასამხნევებელი სიტყვა ვეღარ ეპოვნათ.

— ეს იყო, მაგათი ამბორი, ცოდვებისმოტევება? ეს არის მაგათი მამაშვილური მოპყრობა. პანტა-პუნტით კი გვისტუმრებენ, თითქოს იაფად გვიჯდებოდეს ამ ტანჯულ სასწავლებელში ყოფნა. არა, ან-კი რა დავაშავე, რა მომაკვდინებელი ცოდვა ჩავიდინე. თავისს ერის ჰირისუფლის ლექსები როგორ-ღა არ იკითხოს ადამიანმა? გაგიგონიათ ასეთი ცეცხლი!ეოხ, ღმერთო, ღმერთო! გაიძახოდა ფეფენაშვილი და ამხანაგებს ისეთის თვალით უყურებდა, თითქოს უნდა უთხრასო, თქვენ მაინც გაუფრთხილდით თქვენ თავსა, ხომ ხედავთ როგორ გდევნიან, მარტო იმისთვის, რომ ქართველები ვართ. ისწავლეთ, და თქვენ მიმართულებაზე-კი ხელს ნუ აიღებთო.

— ეჰ, რა გაეწყობა, ჩემო ძმაო, სულით ნუ დაეცემი და ადამიანი თავის დღეში არ დაიღუპება. გაამხნევა ერთმა ამხანაგმა. ამის შემდეგ ბევრ-ნაირად ასწონ-დასწონეს უფროსების მოქმედება დაძმარებულმა ამხანაგებმა, ნამდვილი მიზეზებიც იპოვნეს ამგვარის დევნისა, მაგრამ სათქმელად ძნელია. დეე ყველამ გულში ჩაიხედოს და იმედი მაქვს, ყველა მიხვდება.

—

— წადი ვასო, უფროსი გარედ დასეირნობს, აბა რას გეტყვის. მიაძახეს კლასში ახლად შემოსულმა ამხანგებმა.

— მეტყვის, მე შენ გითხრა, შემიბრალებს. უპასუხა თვალ ცრემლიანმა ვასომ.

— წადი, წადი, თუ არაფერს გეტყვის, რაღას დაგაკლებს. უთხრეს სხვებმაც. ვასო უნებლიედ დაემორჩილა, ამხანაგების თხოვნას, რომლებიც ეხლა ისე უყვარდა და უღირდა როგორც თავისი თავი და გარედ გამოვიდა.

— ეს ვინ არის? დაიღრიალა უფროსმა ფეფენაშვილის დანახვაზე. თქვენ აქ რაღა გინდათ, ბატონო, პეპენოვ! განა არ გითხრეს, რომ სასწავლებელში სიარულის ნება აღარა გაქვთ?!

— განა რა დავაშავე, ამოიკვნესა ფეფენაშვილმა, რადგანაც მეტის თქმა ვეღარ მოახერხა.

— რა დააშავეთ?... თქვენ რევოლიუციონერი ყოფილხართ... თქვენ გინდათ შეთქმულება მოახდინოთ... თქვენ გინდათ ჩვენი ავტორიტეტი ძირს დასცეთ, ხმის კანკალით ეუბნებოდა უფროსი.

— დამშვიდდით, დამშვიდდით ბატონო! სასაცილოა თქვენი მაგგვარი ლაპარაკი, აუმაღლა ხმა ფეფენაშვილმაც. ჯერ სად შეგვიძლიან თქვენი ავტორტეტის დამხობა, როდესაც ბერებიც-კი ჯალათებათ გადაგცეულხართ. აბა რაღა გითხრათ? მე მინდოდა თქვენ წინ თავი გამემართლებინა, დამემტკიცებინა რომ ძალიან სცდებით, ჩემის გამორიცხვისათვის, მინდოდა მომეგონებინა თქვენი ამბორი, თქვენ მიერ ჩვენი ცოდვების მოტევება, მაგრამ ახლა მეტი აღარა დამრჩენია-რა, რომ მადლობა გადაგიხადოთ თქვენის მზრუნველობისათვის... დაიბოლოვა ცეცხლივით ანთებულმა ვასომ და საჩქაროდ უკან გამობრუნდა.

უფროსი ავარდა, დავარდა, გაგიჟდა, გადაიარა.

— შვეიცარ, შვეიცარ! რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა უფროსი. ამ ყეირილზე თავისს სახლიდამ კაბის ამარა გამოვარდა მოძღვარი, ლახლახით ჩაირბინა ბიჭების სადგომში და ყველა ბიჭები გარეთ გამოლალა.

— ფეფენაშვილი, გააგდეთ ფეფენაშვილი. ანგარიშ მიუცემლად გაიძახოდა უფროსი.

ბიჭები მიხვდნენ რაშიაც იყო საქმე და კლასებს მოედვნენ.

ფეფენაშვილი, როგორც-კი უფროსიდამ გამობრუნდა, მაშინვე შევიდა ამხანაგებთან ყველაფერი უამბო და დაუმატა:

— ნუ დამივიწყებთ ჩემო ძმებო, ცუდად ნუ მომიგონებთ...

კლასში შემოსულმა მოსამსახურეებმა ლაპარაკი გააწყვეტინეს.

— უფროსმა გვიბრძანა ფეფენაშვილი გარედ გააგდეთო, უთხრეს ბიჭებმა და ვასოს ხელი წაავლეს.

— ჰმ!.. მწარედ ჩაიცინა ვასომ. რა გაეწყობა! მშვიდობით, ჩემო ამხანაგებო, მშვიდობით იყავით!.. სულით და გულით არ დაეცეთ. იბეჯითეთ, იბეჯითეთ და მაღალ სასწავლებელში მოექეცით, რომ უფრო კარგად მოემზადოთ „ბრძოლისათვის!.. ვასოს ცრემლები მოუვიდა, მეტის თქმა ვეღარ მოახერხა. დღეიდგან მისთვის ყველა ტკბილი იმედი გაჰქრა!

ამხანაგებსაც გული აუჩუყდათ და აცრემლებულებმა დიდხანს გააყოლეს თვალი ბიჭებს შუა მიმავალ ვასოს.

კიბეს ჩააცილეს თუ არა ფეფენაშვილი, უფროსი მაშინვე ვასოს ამხანაგებთან შევიდა და აღელვებულის ხმით გამოუცხადა.

— აი, გევუბნებით და კარგადაც დაიმახსოვრეთ: ვინც დღეის შემდეგ ფეფენაშვილთან გაივლის ან დაელაპარაკება, პირველად შევნიშნავთ და თუ აღარ დაიშლის იმის გზას გავუყენებთო.

რას იფიქრებდნენ ამ დროს ვასოს ამხანაგები და ან რა ხელ-საყრელი იყო უფროსის ამგვარი ბრძანება, ამის გადაწყვეტა მკითხველისათვის მიმინდვია!

თომაანთ კობა.

(დასასრული იქნება).

— რომელი ერი რამდენს დღეს მუშაობს წელიწადში, ესეც-კი გამოურკვევიათ მეცნიერებს. მაგალითებრ, რუსი მუშაობს წელიწადში 267 დღეს, ინგლისელი—278, ისპანელი—290, ავსტრიელი—295, იტალიელი—298, ბავარელი და ბელგიელი—300, საქსონელი და ფრანგი—302, შვეიცარელი, დანიელი და ნორვეგიელი—303, პრუსიელი—305, გოლლანდიელი და ჩრდილო-ამერიკელი—308, უნგრიელი—312. აქედამა სჩანს, რომ ზოგან სიზვერე სამუშაო დღეებისა არ მოასწავებს აღყვავებას ერისას და ეგ აღყვავება ზოგან დამოკიდებულია უფრო მუშაობის ღირსებაზე, ვიდრე სიდიდეზე. (ნ.)

— ერთს თანა-შემწეს ჟურნალისას ჩიკაგოში (ამერიკის ქალაქია) განეზრახა შეეტყო რა ამბავშია გული მილლიონერისა და ამისათვის მისულა ვიღაც პულმანთან, რომელსაც თურმე 250 მილლიონი აქვს. პულმანს უთქვამს: „მე ეხლა სულაც არა ვარ უფრო ბედნიერ იმაზე, რაც ვიყავ, როცა იძულებულ ვიყავ დღე და ღამ მემუშავნა, რომ ლუკმა პური მეშოვნა. მაშინ ჩემს სადილს უფრო დიდის მადით შევექცეოდი, ვიდრე ეხლა; მე მაშინ უფრო ცოტა დარდი და ნაღველი მქონდა, ვიდრე ეხლა და ბევრად უკეთესი ძილი ვიცოდიო.

როცა-კი მეჟურნალეს ეთქვა, მაშ მოდით, თქვენი მილლიონები მე მომეცით და ჩემი სიღარიბე თქვენ ინებეთო, მილლიონერს გაეცინა თურმე. ამერიკული გაზეთი, საცა ეს ამბავი სწერია, ამბობს: „ცხადია, რომ მილლიონერობა არც ისე ცუდი რამ ყოფილა, რადგანაც ჯერ კაცი არ გამოჩენილა, თავისს მილლიონებზე ხელი აეღოსო“. (ნ.)

— ერთი სროლა ტყვია-წამალი ას ათ ტონიან ზარბაზნისა ჰღირს გერმანიის არტილერიაში 1996 ჩვენებური მანეთი. თვითო ამისთანა ზარბაზანი საომარს სროლას იტანს 90-ს, მას მერმედ ან სულ აღარ ვარგა თურმე, ან ძირეულად უნდა შეკეთდესო. თუ აღარ ვარგა, მაშინ ზარბაზანი წონით გაიყიდება ხოლმეო მაშინ, როდესაც ახალი ზარბაზანი უჯდებათ თითქმის ორასი ათასი მანეთიო.

— ერთი მართლა სახელოვანი კაცია ინგლისელი პიბოდი, რომელიც ჩრდილო-ამერიკაში დაბადებულა, აუარებელი სიმდიდრე შეუძენია თავისის საკუთარის ხელით და გარჯით და 55,000,000 ფრანკი შეუწირავს ღარიბთათვის იქ, საცა დაბადებულა, გადმოსულა მერე ლონდონში და უანდერძნია 12,500,000 ფრანკი ღარიბთათვისვე. ეს ფული უანდერძნია იმ პირობით, რომ ღარიბ-მუშა-კაცთათვის, რომელნიც კვირაში $6^1/_4$ ფრანკზე მეტს ვერა ჰშოულობენ იეფის ფასის ბინა ჰქონდეთ. ამ ფულით აუშენებიათ რამდენიმე უშველებელი სახლი ხუთ-ექვსს სართულიანი და ამ სახლების მდგმურებად მარტო მუშა-კაცნი მიიღებიან.

პიბოდი თავისს ანდერძში ამბობს, რომ ასს წელიწადს შემდეგ ჩემის ფულით აშენებულ სახლთაგან იმოდენა შემოსავალი იქნება, რომ ლონდონში ერთი მუშა კაცი, თუ ქალი არ იქნება—იეფი თავშესაფარი არა ჰქონდეს და ამასთან კარკი, საკმაოდ კარგად მოწყობილი და ჯან-მრთელიო. გამოუანგარიშებიათ, რომ ასს წელიწადს შემდეგ პიბოდის წყალობით 2,000 სახლი იქნება ინგლისში და ეს სახლები დაიტევს მილლიონ ნახევარ მუშა კაცს და 350,000 სადგური ექმნებაო. (ნ).

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო ქ. ქუთაისში მცხოვრებელთ ძმათა გიორგი და მეთოდე სპირიდონის ძეთა ხმალაძეებს და ს. ღიმანში მცხოვრებელს ნადეჟდა ერაზმის ასულს დემჩინსკაიას, რომელთაგან მივიღეთ 28 მანეთი ფული ახალ შენებულ სოფ. აწყურის ღვთის-მშობლის ეკკლესიის სასარგებლოთ; აი სია შემომწირველთა:

ძმათა მეთოდე და გიორგი ხმალაძეებმა 20 მ., პაატა ნატოჩვამ ჩერნოგლაზოვმა 1 მ., ევგენიას დენისის ასულმა ჩერნოგლაზოვისამ 1 მ., ლიდია დენისის ასულმა „ლეონ“ 1 მ., ა. გ. 1 მ., ილია გვარამაძემ 1 მ., მემიშ ეფენდი ხვამბაიას 1 მ., ოსმან ეფენდი ხვამბაიამ 1 მ. და ნადეჟდა დემჩინსკაიამ 1 მ. სულ 28 მანეთი.

აწყურის სამრევლოს მღვდელი გრიგოლ ჯინჭველაშვილი.

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემული გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ თავ. მუხრან-ბატონის მოურავს ფრიდონ ბასილაშვილს, რომელმაც ს. ბორბალოში თ. ბარათაშვილების და ქ-ნ ზავრიშვილის მიერ დაარსებულ სკოლას დაუკვეთა ამ 1896 წლის ჟურნალი „ჯეჯილი“.

იმედია სხვებიც მიჰბაძვენ ამ მაგალითს და დახმარებას აღმოგვიჩენენ.

ბორბალოს სკოლის მასწავლებელი პ—ო კალანდაძე.

ს. ბორბალო. 1896 წ. 18 თებერვალი.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ორბელიანნი. საქართველოს მეფის ნაზარ-ალი ხანის 24 სექტ. 1694 წლის გუჯარში თრიალეთის მოურავები: პაპუა, გორჯასპი და ზურაბ ორბელიანნი თავადებად არიან წოდებულნი.

20 სექტემბერს 1825 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილია პოდპოლკოვნიკი ლუარსაბ ზურაბის ძე ორბელიანი შვილითურთ ზაქარიათი.

უმაღლესის ბრძანებით 1738 წელს მეფე ვახტანგ ლევანის ძესთან ერთად საქართველოდამ წასული ანდრია ორბელიანი თავადად არის წოდებული.

შთამომავალნი მისნი, ორბელიანნი, სამსახურისა და ოფიციალურს ყველა აქტებში და საბუთის ქაღალდებში თავადებად არიან წოდებულნი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 17 ივნისს 1852 წ. და 9 ივნისს 1853 წ. თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ იქმნენ თავადნი ორბელიანნი: 1) გუბერნსკი სეკრეტარი იაკობ ვლადიმირის ძე, შვილნი მისნი: ნიკოლოზ, ვლადიმირი, ივანე, ვასილი, მიტროფანე, კონსტანტინე, პეტრე, ვერა, ანასტასია და ლიუდმილა და 2) გუბერნსკი სეკრეტარი ნიკოლოზ ვლადიმირის ძე და შვილნი მისნი ნიკოლოზი და ათანასე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 თებერვალი.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტი პეტრე ალექსანდრეს ძე ჩერევინი გარდაიცვალა 19 თებერვალს, დილის 10 საათზე და 20 წუთ. ნაშუადღევის 3 საათზე და საღამოს 9 საათზე გარდახდილ იქმნა პანაშვიდები მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა თანადასწრებით.

**ლონდონი.** „ტაიმს“-სატყობინებენ დეპეშით: კორეს მეფე ისევ რუსეთის მისსიის სახლში იფარავს თავს. კორეში აჯანყება სუფევს. ამბობენ, იაპონიამ წინადადება წარუდგინა რუსეთს—ერთად ადევნონ ყური კორეს საქმეებს. ამბობენ აგრეთვე, რომ იამაგატა, როდესაც მოსკოვში იქნება, რუსეთთან ხელშეკრულობაზე დაიწყებს მოლაპარაკებას.

20 თებერვალი.

**პეტერბურგი.** 19 თებერვალს ისაკის სობოროში სწირა ოდესის არხიეპისკოპოსმა. წირვის შემდეგ გარდაიხადეს პანაშვიდი ხელმწიფე-განმათავისუფლებელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გარდაიხადა პეტერბურგის მიტროპოლიტმა, ოდესის არხიეპისკოპოსმა და მრავალმა სასულიერო პირმა. სობორო სავსე იყო ხალხით.

**რომი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევაზე მეფე ჰუმბერტოს წარმომადგენლად იქმნება ნეაპოლიტანის პრინცი.

**სოფია.** დამატებითი არჩევნების დროს სრული წესიერება იყო დაცული. აღმორჩეულ იქმნენ კონსერვატორები. ყოველის მხრით ისმის მადლობა მთავრობის მიმართ, რადგან არჩევნების დროს ამომრჩევლებს სრულის თავისუფალის მოქმედების ნებას აძლევდაო.

## „ივერიის“ ფოსტა

—

**პეტროვსკი**, ანკარას „პეტროვსკის ქართველთა ცხოვრება“ არ დაიბეჭდება.

**კიევი.** მ. ბ. „ზოგადი სწავლა“ და „ნაწყვეტი“ არ დაიბეჭდება.

**თბილისი** ხაშმელს. „მოამბის მართლმსაჯულება“ არ დაიბეჭდება.

**ეძს-პედაგოგს** „ფიქრი და შენიშვნა“ არ დაიბეჭდება.

**ვინმე მესხს**,—„სამგლოველო სიტყვა“ არ დაიბეჭდება, რადგანაც ამგვარივე სიტყვა ბევრი დაიბეჭდა.

**ქვიტირელს** ლექსი „ცხვრები და დათვი“ არ დაიბეჭდება ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)



კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—79).



თანახმად სატრაქტირო დებულების 34-ე მუხლისა 8 ივნისს 1893 წლ. ქალაქის გამგეობა სთხოვს მობრძანდნენ ქალაქის გამგეობის სადგომში: **სასტუმროების** პატრონნი—შაბათს, 2 მარტს ამა წლისას, **რესტორანებისა** და **ყავახანების** პატრონნი—ოთხშაბათს, 6 მარტს ამა წლისას, **ბუფეტებისა**—პარასკევს, 8 მარტს ამა წლისას, **ავეჯეულობით მოწყობილ ოთახებისა, ლუდხანებისა** და **სასმელების სარდაფების** პატრონნი, სადაც **საუზმეულება** და სხვა **თბილი საჭმელებიც** მზადდება—შაბათს, 9 მარტს, ამა წლისას, რათა სატრაქტირო გარდასახადი გაანაწილონ ერთმანეთში ამ მიმდინარე წლისა (1896) ქალაქის სასარგებლოდ. უნდა გამოცხადდნენ დილის 10 საათზე.

ტრაქტირებისა, დუქნებისა, საყავე და სიჩაიო სახლების პატრონთ, სადაც საუზმეულობა და სხვა საჭმელიც ისყიდება, აგრეთვე კონდიტერებს, სანოვაგის გამყიდველთ და პატრონთ დუქნებისა, სადაც ეტლებისა და ეკიპაჟებისათვის სადგომები აქვთ, თანახმად სატრაქტირო დებულების 33-ე მუხლისა ქალაქის გამგეობა სთხოვს მობრძანდნენ გამგეობისავე სადგომში: 1) ტრაქტირების პატრონნი—სამშაბათს, 20 თებერვალს, ამა წლისას, 2) ყავახანებისა და საჩაიოების პატრონნი, სადაც საუზმეულობა და თბილი საჭმელიც ისყიდება, კონდიტერები და პიროქნების მცხობელნი ადგილობრივ სახმარებლად—ხუთშაბათს, 22 თებერვალს, ამა წლისას, 3) სხვა-და-სხვა სანოვაგის გამსყიდველნი—შაბათს, 24 თებერვალს, ამა წლისას, 4) ეტლებისა და სხვა ეკიპაჟების სადგომ ადგილების პატრონნი—სამშაბათს, 27 თებერვალს, ამა წლისას და 5) მედუქნეები—ხუთშაბათს, 29 თებერვალს, ამა წლისას დილის 10 საათზე, რათა ამორჩეულ იქმნან გარდასახადების გამანაწილებელ კომისიის წევრნი.

(3—6—1)



**ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები.**

ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდმარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ **საჭმელში სახმარებლად**: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირი (кастор. масло), სალმპრო და მოხარშული დასაფერად; გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების **საპონი**: ტყვიისა და მარმარილოსი.

მსურველთ უნდა მოიკითხონ მხოლოდ: 1) კავკასიის სააფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და 2) საკუთარს სავაჭრო მაღაზიებში: ა) მიხეილის ქუჩა, სახლი ყარალოვისა ვორონცოვის ძეგლთან; ბ) იარმუკაზედ, ბუდდანოვის სახლი; გ) თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა; დ) ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და მებურნოთოვის სახლში, ოლღას ქუჩაზედ.

**ერთიანად სყიდვა** შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი. საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის საკვები **ჩენჩო**.

(10—13—5)



ი ს ყ ი დ ე ბ ა

ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი

**ცოდვა სიყვარულისა**

(Crime d' amour)

რომანი

პოლ ბურჟესი.

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ.

ფასი 70 კაპ.

ვინც 5 ცალზედ მეტს დაიბარებს პირ-და-პირ მთარგმნელისაგან, 20% დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбэ“. Гр. Кипшидзе.



ხელ-მეორედ გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

**სოკრატი.**

თარგმანი მ. შარაძისა,

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა.

წიგნი 63 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხან. სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.



ЖУРНАЛЪ

„ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ

ГРУЗИНСКАГО ЭКЗАРХАТА“

издается въ 1896 году

по прежней программѣ и выходитъ 2 раза въ мѣсяцъ 1-го и 15-го чиселъ. Цѣна въ годъ (съ пересылкою) 4 рубля. Подписка принимается при Тифлисской духовной семинаріи.

(3—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Февраля 1896 г.   სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.   რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.